დანართი №1

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში
სტუდენტების ხელშეწყობის/დასაქმების პროგრამა

,,აუდიოსახელმძღვანელოები“

2023 წელი

**მუხლი 1.**

| | |
|---|---|
| **1.1 პროგრამის დასახელება** | ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში სტუდენტების ხელშეწყობის/დასაქმების პროგრამა ,,აუდიოსახელმძღვანელოები“ |
| **1.2 პროგრამის განხორციელების ვადები** | 2023 წელი, ივლისი – სექტემბერი – ოქტომბერი |
| **1.3 პროგრამის ჯამური ბიუჯეტი** | **12 000 ლარი** |
| **1.4 პროგრამის ხელმძღვანელი** | ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი – ზურაბ გაიპარაშვილი |
| **1.5 ბიუჯეტის განმკარგავი** | საფინანსო დეპარტამენტი |

**მუხლი 2. პროგრამის აქტუალობა**

,,ბიბლიოთეკაში სტუდენტური დასაქმების მხარდაჭერის პროგრამა“ (შემდგომ – ,,პროგრამა“) იძლევა საშუალებას, ერთი მხრივ, თსუ ბიბლიოთეკის ელექტრონული რესურსების გაზრდის, მეორე მხრივ, უნივერსიტეტის შშმ პირთათვის აუდიო სახელმძღვანელოების შექმნის და საზოგადოებაში მათ ადაპტაციას.

**მუხლი 3. პროგრამის მიზანი**

პროგრამის მიზანია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა მხარდაჭერა შრომითი დასაქმების ფარგლებში. ასევე, თსუ ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო სახელმძღვანელოების აუდიოჩანაწერების შექმნა.

**მუხლი 4.პროგრამის განხორციელების სტრატეგია**

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დასაქმებული უზრუნველყოფილი იქნება აუდიო კომპიუტერული ტექნიკით;
2. პირველ ეტაპზე გამოცხადდება კონკურსი საჯაროდ, თსუ ვებგვერდზე;
3. წარმოდგენილ კონკურსანტებს ჩაუტარდებათ გასაუბრება, რაც გულისხმობს აუდიოწიგნების შესაქმნელად კონკურსანტის შესაბამისი უნარების შემოწმებას (მეტყველება, დიქცია, ტემბრი).
4. გაეწევა კონტროლი მათ მიერ შესრულებული სამუშოს ხარისხს.
6. სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაო ანაზღაურებადია (ერთი სტუდენტის ანაზღაურება ფიქსირებულია, A5 ზომის წიგნის ერთი ფურცლის წაკითხვა განისაზღვრება 7 ლარის დარიცხვით).

7. პროგრამა განხორციელდება სამი თვის განმავლობაში.

**მუხლი 5. პროგრამის მიზნობრივი ჯგუფი**

პროგრამის მიზნობრივ ჯგუფს განეკუთვნება სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები.

**მუხლი 6. მოსალოდნელი საბოლოო შედეგი**

პროგრამის ამოქმედება ხელს შეუწყობს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის:

ა) ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო სახელმძღვანელოების აუდიოჩანაწერების შექმნას;
ბ) სტუდენტთა შრომითი დასაქმების პროცესს;

**მუხლი 7. პროგრამის სპეციფიკური ამოცანები, ვადები და შესაბამისი აქტივობები:**

| № | ამოცანა | აქტივობები | ვადები |
|---|---|---|---|
| 1 | აუდიოჩანაწერის შექმნა | ტექსტის კითხვა | 2023 წელი, – ივლისი – სექტემბერი – ოქტომბერი |

**მუხლი 8. ქვეპროგრამის განხორციელებაში ჩართული მხარეები და მათი ფუნქციები/ვალდებულებები**

| პასუხისმგებელი უწყება/სტრუქტურული ერთეული/პოზიცია | ფუნქციები/ვალდებულებები |
|---|---|
| თსუ–ის ბიბლიოთეკა | პროგრამის განხორციელების კოორდინაცია. |
| თსუ–ის საფინანსო დეპარტამენტი | ფინანსური უზრუნველყოფა. |
| თსუ–ის პერსონალის მართვის დეპარტამენტი | ხელშეკრულებების პროექტების მომზადება. |
| თსუ–ის იურიდიული დეპარტამენტი | შესაბამისი ინიცირების საფუძველზე ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება. |

**მუხლი 9. პროგრამის ბიუჯეტი საბიუჯეტო მუხლების მითითებით**

| **დასახელება** | **2023 წელი** |
|---|---|
| **„ბიბლიოთეკაში სტუდენტების დასაქმების პროექტის“ მხარდაჭერის პროგრამა** | **12 000 ლარი** |
| „ შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურება;“ | 12 000 |
| **ჯამი:** | **12 000** |

**მუხლი 10. მოსალოდნელი საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები მიმდინარე წლისთვის**

**10.1 საბაზისო მაჩვენებელი**

✓ პროგრამაში ჩართული იყო და დაფინანსდა თსუ–ის სტუდენტები.

**10.2. მიზნობრივი მაჩვენებელი -** ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული და დაფინანსებული იქნებიან თსუ სტუდენტები, მომზადდება 12 სახელმძღვანელოს აუდიოჩანაწერი, საშუალოდ 1800 ფურცელი.